შეტყობინება მეათე

ვიცხოვროთ ღვთისმოსავი სიცოცხლით

ადგილები წერილიდან: იგავ. 29:18ა; 23:23; 20:27; 4:23; 10:12ბ; 17:9

I. „სადაც არ არის ხედვა, ხალხი ხდება გაუხედნავი“ – იგავ. 29:18ა:

ა. ბიბლიაში სიტყვა *„ხედვა“* აღნიშნავს არაჩვეულებრივ სურათს; ის მიუთითებს ხედვის განსაკუთრებულ უნარზე – ხედვის დიდებულ შესაძლებლობაზე – და სულიერ პეიზაჟზე, რომელსაც ჩვენ გვაჩვენებს ღმერთი – ეზეკ. 1:1, 4-28; დან. 7:1, 9-10, 13-14.

ბ. იმისათვის, რომ გვქონდეს ხედვა, ჩვენთვის აუცილებელია გამოცხადება, სინათლე და მხედველობა – ეფეს. 1:17-18ა.

გ. ზეციური ხედვა გვხელმძღვანელობს ჩვენ, გვზღუდავს ჩვენ, გვმართავს ჩვენ, მიგვმართავს ჩვენ, გვიცავს ჩვენ, საფუძვლიანად გვცვლის ჩვენ, გვინახავს ჩვენ ნამდვილ ერთობაში და გვაძლევს გაბედულებას, რომ ვიაროთ წინ – იგავი 29:18ა.

დ. ზეციური ხედვა არის ჩვენი აღმძვრელი ძალა, გვაძლევს ჩვენ ენერგიას, გვიჭერს ჩვენ, გვაძლევს ჩვენ მოთმინებას, მივყავართ ჩვენ უფლის თანამედროვე მოძრაობაში და აკეთებს ისე, რომ ჩვენი სიცოცხლე ივსება აზრითა და ჩანაფიქრით – ებრ. 1:8; 12:1-2; ეფეს. 3:11; 2 ტიმ. 1:9; 3:10; გამოცხ. 1:9; 3:10.

ე. თითოეული, ვინც ემსახურება უფალს, უნდა იყოს ადამიანი ხედვით; შინაგანი ხედვა საფუძვლინად შეცვლის იმას, თუ როგორ ვემსახურებით უფალს – საქმე 26:13-19; რომ. 1:9.

ვ. ზეციური ხელმძღვანელობის ქვეშ, ჩვენ მივდივართ ღმერთის მიზნისაკენ და ჩვენი სიცოცხლე არის მმართველობის ქვეშ ღმერთის სახლმშენებლობის თანახმად – ფილიპ. 3:13-14; 1 ტიმ. 1:4.

ზ. ხელმძღვანელი ხედვა ბიბლიაში არის ის, რომ სამერთიანი ღმერთი ნერგავს თავის თავს თავის ამორჩეულ და გამოსყიდულ ადამიანებში, რათა გაუღინთოს მათი მთელი არსება ღვთაებრივი სამებით ქრისტეს სხეულის წარმოსაქმნელად და ასაშენებლად, რომელიც მოიპოვებს დასრულებას ახალ იერუსალიმში – ეფეს. 4:4-6; გამოცხ. 21:2, 9-10.

II. „იყიდე ჭეშმარიტება და არ გაყიდო ის“ – იგავ. 23:23ა:

ა. ჭეშმარიტება არის ის, რაც ჩვენ უნდა ვიყიდოთ, ის, რასაც აქვს გარკვეული ფასი – მუხ. 23ა:

1. რაღაცის ყიდვა მოითხოვს გარკვეული საფასურის გადახდას.
2. თუ ჩვენ გვინდა, რომ ვასიამოვნოთ უფალი და ვიდგეთ ჭეშმარიტებისათვის, ჩვენ უნდა გადავიხადოთ გარკვეული საფასური – შდრ. გამოცხ. 3:18.
3. თუ ჩვენი გულები მზად არის, რომ მივიღოთ ჭეშმარიტების სიყვარული და ვიყიდოთ ჭეშმარიტება ნებისმიერ ფასად, ჩვენ ვიქნებით კურთხეულნი – 2 თეს. 2:10-11; იგავ. 23:23.

ბ. ღვთაებრივი ჭეშმარიტება არის აბსოლუტური, და ჩვენ უნდა ვიყოთ აბსოლუტური ჭეშმარიტებისათვის და ჩავეჭიდოთ ჭეშმარიტების აბსოლუტურობას – იოანე 14:6; 18:37; 3 იოანე 3-4, 8:

1. ვიყოთ აბსოლუტური ჭეშმარიტებისათვის – ნიშნავს გვერდზე გადავდოთ ჩვენი გრძნობები, უარი ვთქვათ პირად კავშირებზე და არ დავიცვათ ჩვენი „მე“ – მათე 16:24-25; 1 პეტ. 1:22.
2. ჭეშმარიტება არის ერთადერთი საზომი, და ჩვენ უნდა დავდგეთ ჭეშმარიტების მხარეს, რათა წინაღვუდგეთ ჩვენს თავს; ჩავეჭიდოთ ჭეშმარიტების აბსოლუტურობას შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ თავს ვაღწევთ ჩვენს თავებს – იოანე 8:32; 2 იოანე 2; 3 იოანე 3-4.
3. ჩვენ პატივი უნდა ვცეთ ღმერთის ჭეშმარიტებას, ვიაროთ ჭეშმარიტების გზით და არც ერთ საკითხში არ უნდა წავიდეთ კომპრომისზე ჭეშმარიტებასთან – 2 პეტ. 2:2.

გ. ღვთაებრივი სახლმშენებლობის დასრულებისათვის ჩვენ უნდა ვიყოთ აბსოლუტური თანდამსწრები ჭეშმარიტებისათვის – 1:12:

1. თანდამსწრები ჭეშმარიტება არის მორწმუნეებთან მყოფი ჭეშმარიტება, რომელიც მათ უკვე მიიღეს და რომელსაც ახლა ისინი ფლობენ – მუხ. 12.
2. თანდამსწრები ჭეშმარიტება მოიცავს გამოცხადებას ღმერთის მარადიულ სახლმშენებლობაზე (ეფეს. 1:10; 3:9), ღვთაებრივ სამებაზე (2 კორ. 13:14; გამოცხ. 1:4-5), ყოვლისმომცველ ქრისტეს პიროვნებასა და სამუშაოზე (კოლ. 2:9, 16-17; 3:11), დასრულებულ მაცოცხლებელ სულზე (იოანე 7:39; 1 კორ. 15:45ბ; გამოცხ. 22:17), ღმერთის მარადიულ სიცოცხლეზე (იოანე 3:15-16), ეკლესიაზე როგორც ქრისტეს სხეულზე (ეფეს. 1:22-23) და ახალ იერუსალიმზე (გამოცხ. 21:2, 10-11).
3. თანდამსწრები ჭეშმარიტება მოიცავს თავის თავში ღვთაებრივი გამოცხადების მწვერვალს – გამოცხადებას იმაზე, რომ ღმერთი გახდა ადამიანი, რათა ადამიანი გახდეს ღმერთი სიცოცხლითა და ბუნებით, მაგრამ არა ღვთაებაში, – რომ წარმოქმნას და ააშენოს ქრისტეს ორგანული სხეული ღმერთის სახლმშენებლობის შესრულებისათვის, რათა დაასრულოს ეს საუკუნე და დააბრუნოს ქრისტე, რომელიც დაადგენს თავის სამეფოს – იოანე 1:12-14; 1 იოანე 3:1-2; რომ. 8:3; 1:3-4; 12:4-5; გამოცხ. 11:15.

III. ადამიანის სული არის იეჰოვას სასანთლე, რომელიც იკვლევს შინაგანი არსების ყველა სიღრმისეულ ნაწილს – იგავ. 20:27:

ა. ადამიანის სული არის ღმერთის სასანთლე ადამიანის შიგნით – მათე 25:1:

1. სინათლე, რომელიც ანათებს ადამიანის ხელახლაშობილი სულის შიგნით, არის თვით ღმერთი – 1 იოანე 1:5.
2. როგორც სასანთლე შეიცავს სინათლეს და გამოხატავს მას, ასევე ადამიანის სულიც იყო შექმნილი იმისათვის, რომ შეიცავდეს ღმერთს და გამოხატავდეს მას.

3. იმისათვის, რომ ღვთაებრივმა სინათლემ ანათოს ადამიანის შინაგან ნაწილებში, ღმერთის სულმა როგორც ზეთმა უნდა გაჟღინთოს ადამიანის სული (შეერწყას მას) მსგავსად ფითილისა და „წვის“ ადამიანის სულთან ერთად – რომ. 8:16; 12:11.
4. თუ ჩვენ გამოვეხმაურებით სულის ნათებას, ჩვენ ვივლით სულის თანახმად – 8:4.

ბ. ღმერთის სული ასევე არის სასანთლე (ლამპარი), და ამასთან ერთად მისი ნათება შვიდმაგად გაძლიერებულია – გამოცხ. 4:5:
1. ჩვენი ხელახლაშობილი სული არის სასანთლე, რომელშიც მკვიდრობს ღმერთის სული, რომელიც ასევე არის სასანთლე.
2. ადამიანის სულიც და ღმერთის სულიც არის სასანთლეები, რომლებიც ერთად აბრწყინებენ შინაგან ნაწილებს – იგავ. 20:27; გამოცხ. 4:5.
3. სულს აქვს სურვილი, რომ გაბრწყინდეს ჩვენი სამშვინველის თითოეულ ნაწილზე.

გ. როდესაც ჩვენ ვავარჯიშებთ ჩვენს სულს, ვლოცულობთ სათანადოდ, ანათებს სასანთლე – ეფეს. 6:18; 1:17-18; 5:8-9:
1. მასთან ერთად, რაც ჩვენ ვლოცულობთ, ჩვენი სული ფუნქციონირებს როგორც მანათობელი სასანთლე, რომელიც იკვლევს ჩვენი სამშვინველის ყველა ნაწილს – იგავ. 20:27.
2. რაც უფრო მეტად ვავარჯიშებთ ჩვენს სულს ლოცვაში, უფრო მეტად აღმოვჩნდებით გაბრწყინებულნი – 2 კორ. 4:6:
   ა) სასანთლეს შეუძლია გაანათოს ჩვენი აზრები, გრძნობები და ნება.
   ბ) ჩვენი შინაგანი ნაწილები იქნება საფუძვლიანად გამოკვლეული უფლის მიერ – ფსალ. 139:23-24.
3. ასეთი ლოცვის შემდეგ ჩვენ ვიგრძნობთ ჩვენს თავს განათებულად და გამჭვირვალედ, ავსებულებს ღმერთით – ეფეს. 5:8-9.

IV. „ყველა დასაცავზე მეტად დაიცავი შენი გული, რადგან მისგან მოედინება სიცოცხლის წყაროები“ – იგავ. 4:23:

ა. სამშვინველი არის თვითონ პიროვნება, ხოლო გული არის პიროვნება მოქმედებაში – ლუკა 1:66; 2:19, 51; საქმე. 11:23; ეფეს. 3:17; 1 თეს. 3:13:
1. ჩვენს შინაგან არსებაში ჩვენ გვაქვს რაღაც, რაც ჩვენ წარმოგვადგენს, და ეს წარმომადგენელი არის ჩვენი გული – ლუკა 6:45; იოანე 16:22; 2 კორ. 3:16.
2. დამოკიდებულება, რომელიც არსებობს ჩვენსა და ღმერთს შორის, პირველ რიგში დამოკიდებულია ჩვენს გულზე, რადგან გული არის ის ორგანო, რომლის მეშვეობითაც ჩვენ გამოვხატავთ ჩვენს თავს და რომლის მეშვეობითაც ჩვენ ვღებულობთ გადაწყვეტილებას, თუ რა მივიღოთ, და რა უარვყოთ – საქმე. 8:37; რომ. 10:9-10.
3. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სული სუფთაა, ის, რაც გამოიხატება ჩვენი სულიდან, დამოკიდებულია ჩვენს გულზე – 2 თეს. 2:17; 3:5.

ბ. გული არის შესასვლელი და გამოსასვლელი მთელი ჩვენი არსებისათვის – მათე 13:19; 15:18-19:

1. სწორედ ჩვენი გულიდან გამოდის გარეთ ჩვენი ნამდვილი არსება, რადგან ჩვენი არსების მოძრაობა ხორციელდება ჩვენი გულის მეშვეობით – ლუკა 6:45.
2. ჩვენი სული არის სათავე ჩვენი არსებისა, ხოლო ჩვენი გული არის გასასვლელი, შესასვლელი და გამოსასვლელი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება მოძრაობა ჩვენს არსებაში – მათე 12:34-35.
3. იმისათვის, რომ ვიყოთ სათანადო ქრისტიანი, ჩვენ უნდა ვავარჯიშოთ ჩვენი სული და დავიცვათ ჩვენი გული, შევინახოთ ის მთელი სიფხიზლით – იგავ. 4:23.

გ. ებრაული სიტყვა, ნათარგმნი იგავების 4:23 როგორც „შენახვა“, აღნიშნავს „გაფრთხილებას“:
1. ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენს გულს ყველაფერზე მეტად, რადგან მისგან გამოდის სიცოცხლის საწყისები.
2. საწყისებში იგავების 4:23-ში იგულისხმება არა მარტო საწყისები, არამედ სათავეებიცა და წყაროებიც:
   ა) სიცოცხლის საწყისები არის სიცოცხლის დინება – შდრ. იოანე 4:14.
   ბ) გული დაკავშირებულია სიცოცხლის სათავეებთან, სიცოცხლის წყაროებთან და სიცოცხლის საწყისებთან – შდრ. ესაია 12:3.
   გ) დასაწყისი, სათავე, იმისა, რასაც ჩვენ წარმოვადგენთ, ანუ ჩვენი ნამდვილი არსებისა, გამოდის ჩვენი გულიდან – შდრ. იოანე 7:37-38.

დ. ჩვენ ვიცავთ ჩვენს გულს იმით, რომ ვზრუნავთ ჩვენს გულზე და გულმოდგინედ ვმუშაობთ ჩვენს გულზე უფლის წინაშე სიცოცხლის გზით; რაც უფრო მეტად ვმუშაობთ ჩვენს გულზე, უფრო მეტად ჩვენ ვიცავთ ჩვენს გულს – ფსალ. 26:2; 139:23-24; იგავ. 4:23; რომ. 8:27; გამოცხ. 2:23; მათე 13:18-23; 5:8.

ე. იმისათვის, რომ გავიზარდოთ სიცოცხლეში ღმერთის ნაგებობისათვის, ჩვენ უნდა გვიყვარდეს უფალი, ვიყოთ ფხიზელი ჩვენი სულისადმი და დავიცვათ ჩვენი გული მთელი სიფხიზლით, რომ დავრჩეთ სიცოცხლის ბილიკზე – 1 პეტ. 1:8; 2:2, 5; 3:4, 15; იგავ. 21:2; 4:18-23; რჯლ. 10:12; მარკ. 12:30.

V. „სიყვარული ყველა დანაშაულს ფარავს“ – იგავ. 10:12ბ:

ა. ვინც დანაშაულს ფარავს, ის ეძებს სიყვარულს, ხოლო ვინც ისევ იხსენებს, ის აშორებს მეგობრებს“ – 17:9.

ბ. დაფარვა არის სიყვარული; გახსნა არ არის სიყვარული – იაკ. 5:20.

გ. დაფარვას მოაქვს კურთხევა, ხოლო გახსნას მოაქვს წყევლა – დაბ. 9:22-27:
1. ის, ვინც ამხელს სხვებს, ექვემდებარება წყევლას.
2. ის, ვინც დაფარავს სხვის ცოდვებს, ხარვეზებსა და შეზღუდვებს, ტკბება მონაპოვარით და ღებულობს კურთხევას.

დ. სიყვარული „ყველაფერს ფარავს“ (1 კორ. 13:7ა) – არა მარტო კარგს, არამედ ცუდსაც:

1. „უხუცესებმა უნდა გაიგონ, რომ თავიანთ მწყემსობაში მათ უნდა დაფარონ სხვების ცოდვები, არ უნდა უპასუხონ ბოროტებაზე ბოროტებით“ – *„სასიცოცხლო ჯგუფები“*, გვ. 93, რუს:
   ა) „ვინც ამხელს ხარვეზებს, შეზღუდვებსა და ცოდვებს ეკლესიის ასოებისას, კარგავს უფლებას, რომ იყოს უხუცესობაში“ – გვ. 93.
   ბ) „როდესაც ჩვენ ვამხელთ ასოებს, და ამ დროს ვართ უხუცესები, მწყემსები, ჩვენ ვკარგავთ უფლებას, რომ ვიყოთ ისინი“ – გვ. 93.
2. ჩვენ უნდა ვმწყემსოთ სხვები ღმერთის თანახმად, სიყვარულით, რომელიც ფარავს ყველა დანაშაულს – 1 პეტ. 5:2; იგავ. 10:12ბ.

ე. „უპირველეს ყოვლისა, გქონდეთ მტკიცე სიყვარული ერთმანეთისადმი, რადგან სიყვარული ფარავს მრავალ ცოდვას – 1 პეტ. 4:8.